ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01182643597**
თარიღი: **21/09/2018**
პინი: **8222**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 18 სექტემბრის №60-011826129 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (მოქ. თორნიკე დვალის №AR1630695 განცხადება), რომლითაც იგი ითხოვს შპს „დიბელი ჯგუფი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა N1, ს.კ.:01.13.01.014.064; ფუნქციური ზონა - სსზ-1) მშენებლობის მიზნით წარმოდგენილი გამწვანების პროექტის შეთანხმებას.

გაცნობებთ, ვინაიდან ზემოაღნიშნული ტერიტორიის ფართობი შეადგენს 2148 კვ. მეტრს, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული გასამწვანებელი ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული 1 ძირი ლეღვი, 2 ძირი ელდარის ფიჭვი და 2 ძირი თუთა და დასარგავი 13 ძირი კვიპაროსი) სრულად ვერ ითვისებს სავალდებულოდ ასათვისებელ კ-3 გამწვანების კოეფიციენტს 0.2 (კ3 კოეფიციენტი განსაზღვრულია სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N14168570ბრძანებით).

დამატებით განგიმარტავთ, რომ მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით. გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, პირამიდული კვიპაროსი, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ასევე ფოთლოვანი ხეებისთვის; ამდენად, განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში- არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ- 14 სანტიმეტრი)).

ასევე მოგახსენებთ, რომ განმცხადებელმა დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

ასევე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 47-ე მუხლის პირველი პუნქტის ნ[1] ქვეპუნქტის საფუძველზე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ გამწვანების პროექტში არის სხვა ხარვეზებიც, კერძოდ, მასში არ არის მითითებული პროექტის დასრულების თარიღი, გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი და გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა (არანაკლებ 3 წელი).

გარდა ზემოაღნიშნულისა, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სამშენებლო ობიექტზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია (შესაბამისი ბანერი) და ვიზუალურად გამოსახული გამწვანების პროექტი, ფოტომონტაჟის (რენდერი) ან მაკეტის სახით, რომელზეც დატანილი იქნება გამწვანების პროექტით გათვალისწინებული მწვანე ნარგავების ადგილმდებარეობა.

შესაბამისად, იმისათვის, რომ სამსახურმა მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სრულყოფილი გამწვანების პროექტი.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი